განცხადება

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა (ქ. თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით) მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის და მონაწილეობის მისაღებად იწვევს საქართველოში ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მსურველს 2015 წლის 24 ივნისიდან 1 ივლისის 12:00 საათამდე, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის აუცილებელ ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტაციის (მათ შორის ინტერესთა გამოხატვის პირობების, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების, მომსახურების კომპლექსის კონცეპტუალური მოდელის, დეტალური პროექტის ძირითადი მაჩვენებლების და პარამეტრების, მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ოპერირების უფლების მინიჭების თაობაზე ხელშეკრულების პროექტის) გაცნობა შეუძლია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ–გვერდზე (www.mrdi.gov.ge), საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე (www.georoad.ge), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე (www.procurement.gov.ge), ამასთან აღნიშნული დოკუმენტაცია გასაცნობად გადაეცემათ კანდიდატებს, მოთხოვნის შემთხვევაში. ამავე პერიოდში (2015 წლის 24 ივნისიდან 1 ივლისის 12:00 საათამდე) განხორციელდება განაცხადების მიღება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მისაღებად (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12).

2015 წლის 1 ივლისს 12:00 საათზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12) კანდიდატთა დასწრებით ჩატარდება ინტერესთა გამოხატვა. კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ინტერესთა გამოხატვის ფორმით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირებაზე უფლების გამცემი არის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი №12).

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული მოიპოვებს უფლებას ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირებაზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტაცია

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების უფლების მოპოვებისათვის ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

სარჩევი

1. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექს(ებ)ის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობები (დანართი №1);

2. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60)თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის ჩატარების წესი(დანართი №2);

3. მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ოპერირების უფლების მინიჭების თაობაზე ხელშეკრულების პროექტი(დანართი №3)

4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულის გამოსავლენად შეფასების ქულათა სისტემა(დანართი №4)

5. კონცეპტუალური მოდელები (დანართი №5)

დანართი №1

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსების პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობები

მუხლი 1. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის განაცხადის წარდგენა

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი), ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექს(ებ)ის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის (შემდგომში - ინტერესთა გამოხატვა) თარიღამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე, უზრუნველყოფს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნებას ქართულ და ინგლისურ ენებზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე (www.mrdi.gov.ge), დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.georoad.ge) და სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატიული საშუალებების მეშვეობით.

2. დეპარტამენტი უფლებამოსილია გადაავადოს ინტერესთა გამოხატვის თარიღი, რომლის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

3. თუ ინტერესთა გამოხატვის თარიღი ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ინტერესთა გამოხატვა ტარდება მომდევნო სამუშაო დღეს იმავე დროს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრებისა და ინტერესთა გამოხატვის თარიღს, დროსა და ადგილს;

ბ) ინტერესთა გამოხატვის ფორმით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსებასა და ოპერირების თაობაზე უფლების გამცემი ორგანოს დასახელებასა და მისამართს;

გ) ინტერესთა გამოხატვის პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;

დ) მომსახურების კომპლექს(ებ)ის კონცეპტუალურ მოდელს;

ე) დეტალური პროექტის ძირითად მაჩვენებლებს და პარამეტრებს, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

ე.ა) მსოფლიო ბანკის „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის“ კრედიტები (4248 GE, 7804 GE) კონსულტანტთა და დეპარტამენტის მონაცემთა მიხედვით, 2014 წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (E-60) შერჩეული მონაკვეთის ავტომობილების დღე-ღამური მოძრაობის ინტენსივობა შეადგენდა 12266 ავტომობილს, ხოლო თითოეულმხარეს, დაახლოებით, 6133 ავტომობილს. შესაბამისად, ყველა გათვლა მომსახურების კომპლექს(ებ)ის (მოძრაობის თითოეული მიმართულებისათვის) უნდა ეყრდნობოდეს ამ მონაცემებს;

ე.ბ) თანახმად საერთაშორისო პრაქტიკისა, ავტომობილების ამ ნაკადისათვის საერთო რაოდენობაა 4,5-5% (276-307 ავტომობილი დღე-ღამეში), საიდანაც მომსახურების

კომპლექს(ებ)ის მომხმარებელი მგზავრების საშუალო რაოდენობა 900 – 1100 ადამიანს შეადგენს, დღე-ღამეში, საშუალოდ, თითოეული მიმართულებისათვის:

ე.ბ.ა) ავტომობილების საერთო რაოდენობიდან 70-73% შეადგენს მსუბუქ ავტომობილს, 15,7% - მიკროავტობუსს, 5,9% - ავტობუსსა და სატვირთოს, 4,7%- მძიმე წონიან სატვირთოს (3 და მეტი ღერძის მქონე ე.წ ტრაილერს). ამ მონაცემებით განისაზღვრება დასვენებისა და მომსახურების თითოეული ობიექტის საშუალო დღე-ღამური სიმძლავრე საპროგნოზო 2015 – 2020 წლისათვის;

ე.ბ.ბ) ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (E-60) მომსახურების თითოეულიკომპლექსი მოძრაობის თითოეული მიმართულებისათვის უნდა შეიცავდეს ავტოსადგომს, საშუალოდ, 50 ავტომობილისათვის ერთდროულად (ავტომობილების საერთო რაოდენობიდან (1 საათში, საშუალოდ) 30-35 მსუბუქი ავტომობილი, 3-4 ავტობუსი, 10-15 მიკროავტობუსი და სატვირთო, 3-5 მძიმეწონიანი, მისაბმელიანი ტრაილერი);

ე.გ) ძირითადი შენობის პარამეტრები უნდა მოიცავდეს:

ე.გ.ა) სხვადასხვა ასორტიმენტის მინიმუმ 2 სწრაფი კვების (არანაკლებ ერთი საერთაშორისო ბრენდი) ობიექტი, თითოეული, მინიმუმ, 50-60 ადგილზე;

ე.გ.ბ) სუპერმარკეტი;

ე.გ.გ) სველი წერტილები (თითოეული არანაკლებ 4 კაბინა, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის კაბნა);

ე.გ.დ) ბავშვების გასართობი კუთხე;

ე.გ.ე) სივრცე ATM ავტომატებისა და სწრაფი გადახდის ტერმინალებისათვის;

ე.გ.ვ) სივრცე ტურისტული საინფორმაციო ბუკლეტების განსათავსებლად;

ე.გ.ზ) სივრცე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და ხელნაკეთი სუვენირების სარეალიზაციოდ;

ე.გ.თ) აფთიაქი.

ე.დ) საწვავის/გაზგასამართი სადგური;

ე.ე) ავტომობილების ტექნიკური მომსახურება;

ე.ვ) დამხმარე სამეურნეო დანიშნულებისა და სხვა სახის შენობა-ნაგებობები, გარესანკვანძი და სველი წერტილები;

ვ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც დეპარტამენტი ჩათვლის მიზანშეწონილად.

5. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მსურველს უფლებააქვს დეპარტამენტისაგან მიიღოს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დაშვებული, ნებისმიერი ინფორმაცია.

მუხლი 2. მოთხოვნები დაინტერესებული პირების მიმართ

1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს, როგორც საქართველოში, აგრეთვე, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (შემდგომში -კომპანია).

2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მისაღებად კომპანია, ან/და მისი დამფუძნებელი, რომელიც ამ კომპანიის 50%–ზე მეტ წილს ფლობს (შემდგომში „კომპანია“, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს, რაზედაც ინტერესის გამოხატვის თაობაზე განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები:

ა) ბოლო სამი წლის (2012-2014) განმავლობაში კომპანიის საშუალო წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 100 000 000 (ასი მილიონი) ლარს (დღგ–ს ჩათვლით);

ბ) მინიმუმ მსგავსი სახის ერთი მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ოპერირების გამოცდილება საქართველოში ან უცხო ქვეყანაში;

გ) კომპანიას საკუთრების და/ან სარგებლობის უფლებით, მინიმუმ ამ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების მე–4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადით, უნდა გააჩნდეს მიწის ნაკვეთი (ფართობი 2.5-3.0 ჰექტარი), რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელიდოკუმენტი;

დ) საწვავის/გაზგასამართ სადგურს უნდა გააჩნდეს – ISO 9001-2008;

ე) არანაკლებ 1 საერთაშორისო ბრენდის (სავაჭრო ნიშანი/მარკა, რომლის გამოყენების უფლება აქვს საერთაშორისო ბრენდის მქონე კომპანიას, რომელიც სულ მცირე 10 სახელმწიფოში ახორციელებს შესაბამისი სახის საქმიანობას და ამასთან, საქართველოში აქვს შესაბამისი საქმიანობის გამოცდილება) სწრაფი კვების ობიექტის გამართვის თაობაზე ინფორმაცია;

ვ) დეპარტამენტის მიერ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადებაზე თანდართული ამ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების კომპლექს(ებ)ის კონცეპტუალური მოდელის შესაბამისი ესკიზი და გენგეგმა;

ზ) შესაძლებელია, დეპარტამენტმა დაადგინოს დამატებითი პირობები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნეს დალუქული კონვერტით.

4. დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიას.

5. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას არ წარადგენს ინტერესის გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენისას, ან წარადგენს არასრულად, მისი კანდიდატურა არ იქნება განხილული. აგრეთვე, ვადის დარღვევით წარდგენილი განაცხადები რჩება განუხილველი, რაზეც დეპარტამენტი შესაბამის პირებს უგზავნის შეტყობინებას.

მუხლი 3.გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

1. კომპანიათა სიას, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ, განსაზღვრავს კომისია. სიაში შევა, მხოლოდ, ისეთი კომპანია, რომელიც კომისიის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობებს.

2. კომპანიებს გაეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება სიაში შესვლის ან არშესვლის შესახებ. აღნიშნულის შემდგომ, დეპარტამენტში, გამარჯვებულის გამოვლების მიზნით, იმართება ინტერესთა გამოხატვა, რომელსაც იხილავს კომისია.

3. კომპანიების სიიდან გამარჯვებულის გამოსავლენად კომისია ამ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების შეფასებისას იყენებს შეფასების ქულათა სისტემას.

4. უპირატესობა მიენიჭება ისეთ განაცხადს, რომელიც კომისიის წევრების შეფასებით, მთლიანობაში შეფასდება ყველაზე მაღალი ქულით.

5. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის თაობაზე ინფორმაცია, ცნობის სახით, წარედგინება საქართველოს მთავრობას.

6. ამ მუხლის მე–5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიასთან შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი.

7. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 500 000 ლარის ღირებულებით, მოქმედების ვადით - ხელშეკრულების ხელმოწერიდან 34 თვის განმავლობაში. მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების შემდგომ საბანკო გარანტია უბრუნდება კომპანიას.

მუხლი 4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის დადგენილი მოთხოვნები

ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის დადგენილი მოთხოვნებია:

ა) კომპლექსის განთავსებიდან მინიმუმ 30 წლის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის დანიშნულების შენარჩუნება, კერძოდ, არ შეცვალოს შემდეგი ტიპის მომსახურება:

ა.ა) ავტომანქანის გამართვა;

ა.ბ) კვებით მომსახურება;

ა.გ) ავტო პარკინგი.

ბ) ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულმა კომპანიამ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე მომსახურების კომპლექს(ებ)ის (სამი კილომეტრის მანძილზე) განთავსებასა და ოპერირებაზე უფლება შეიძლება გადასცეს სხვას, მხოლოდ, მას შემდეგ, რაცდეპარტამენტისგან მიიღებს შესაბამის თანხმობას;

გ) მოძრაობის ინტენსივობის ზრდის შესაბამისად, საშუალოდ 5-8 წლის შემდგომ, უფლებამოსილია, გააფართოვოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის ცალკეული ობიექტები, მომსახურების კომპლექს(ებ)ის დანიშნულების შეცვლის გარეშე, რაც შეთანხმებული უნდაიქნეს დეპარტამენტთან;

დ) ხელშეკრულების ხელმოწერიდან 32 თვის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსება. აღნიშნულ ვადაში შედის დეტალური პროექტის დამუშავების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვ(ებ)ის, სხვა სახის პროცედურებისა და მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების ვადა;

ე) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მომსახურების კომპლექს(ებ)ში განთავსებული ობიექტების ჩანაცვლება შესაძლებელია, მხოლოდ, დეპარტამენტთან შეთანხმებით.

მუხლი 5. ხელშეკრულების გაფორმება და ხელშეკრულების პირობები

1. ხელშეკრულება ფორმდება ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიასთან, ამ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების მე–3 მუხლის მე–5 პუნქტითგათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდგომ, კომისიის მიერ კომპანიისათვის უპირატესობის მინიჭების თაობაზე წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

2. თუ გამარჯვებული უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირია, მაშინ გამარჯვებულმა იურიდიულმა პირმა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, საქართველოში უნდა დააფუძნოს საწარმო, რომელთანაც ფორმდება ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულმა კომპაიამ, დეპარტამენტში უნდა წარადგინოს ამ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დეტალური პროექტი.

4. დეპარტამენტისთვის შესათანხმებლად წარდგენილი დეტალური პროექტი უნდა მოიცავდეს: მომსახურების თითოეული კომპლექსის სივრცითი ორგანიზაციის სქემას (კომპოზიციური გადაწყვეტა) და ტერიტორიაზე მიბმის სქემას; კომპლექს(ებ)ის (შენობა-ნაგებობის) გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს, სამგანზომილებიან სივრცით კომპიუტერულ მოდელებს; შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ გადაწყვეტის წინადადებებსა და ძირითადი სამშენებლო მასალების ჩამონათვალს; შენობა-ნაგებობის ძირითად შიგა დაგარე პარამეტრებს;

მომსახურების კომპლექს(ებ)ის მთლიანი განაშენიანებული ტერიტორიის პარამეტრებს; მომსახურების კომპლექს(ებ)ის უზრუნველმყოფი ინფრასტრუქტურის (ელ. ენერგია, წყალს, ბუნებრივ აირს, კანალიზაციას) ზღვრულ სიმძლავრეთა ანგარიშს (მოთხოვნა).

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 32 თვის განმავლობაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია, აამოქმედოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 500 000 ლარის ოდენობით.

2. ამ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობებისმე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ერთჯერადად, 100 000 ლარის ოდენობით დამიეცემა გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

3. ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადის გასვლის შემდგომ, ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დანართი №2

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს ინტერესთა გამოხატვის ჩატარების წესს და პირობებს, კომისიის შექმნის მიზნებს, ამოცანებსა და უფლებამოსილებას.

მუხლი 2. კომისიის შექმნის მიზანი და ამოცანები

1. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა განმხილველი კომისია (შემდგომში – კომისია) იქმნება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა განხილვის, წინადადებათა შესწავლის და საუკეთესო კანდიდატის გამოვლენის მიზნით.

2. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესით და ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით.

3. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს ავლენს კომისია და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დადგენილი წესით, წარედგინება დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) ადასტურებს გამარჯვებულად გამოვლენილ კომპანიას და აღნიშნული ინფორმაცია, ცნობის სახით წარედგინება საქართველოს მთავრობას.

4. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას (კომპანიებს) შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებას.

5. კომისიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის ფორმა განისაზღვრება ამ წესით.

6. მოთხოვნები ინტერესთა გამოხატვაში დაინტერესებული პირ(ებ)ის მიმართ, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადის წარდგენის პირობები, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები, ხელშეკრულების პირობები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები მოცემულია ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტში.

მუხლი 3. კომისიის ძირითადი ამოცანები

კომისიის ძირითადი ამოცანებია:

ა) ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე **საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით** (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა განხილვა, კანდიდატთა სიის განსაზღვრა;

ბ) წარმოდგენილ განაცხადთა შეფასების შედეგად გამარჯვებულის გამოვლენა.

მუხლი 4. კომისიის უფლებამოსილება

კომისია უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოითხოვოს და მიიღოს კომისიის საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში შექმნას სამუშაო ჯგუფებ(ებ)ი და განსაზღვროს მათი შემადგენლობა, მოიწვიოს ექსპერტები და სხვა პირები სათანადო რეკომენდაციების მიღების მიზნით;

გ) კანდიდატის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;

დ) დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე არ შეესაბამება ამ მოწვევით განსაზღვრულ ინსტრუქციებს;

ე) უკან გამოიწვიოს მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე, ან ხელმეორედ მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძვლით;

ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესითა და ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 5. კომისიის სტრუქტურა

1.კომისიის შემადგენლობა: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები; კომისიის სხდომის მდივანი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პირ(ებ)ი;

2.კომისიის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს კომისიის სხდომებს;

ბ) კომისიას წარუდგენს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას;

გ) კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის თაობაზე წარუდგენს დეპარტამენტის თავმჯდომარეს;

დ) ასრულებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

3. კომისიის წევრ(ებ)ი:

ა) მონაწილეობას იღებენ კომისიის სხდომებში;

ბ) განიხილავენ კანდიდატების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, აფასებენ ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით და ამ წესის შესაბამისად.

გ) ასრულებს ამ წესით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

4. კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს:

ა) **განაცხადის მიღებას და რეგისტრაციას დალუქულ მდგომარეობაში;**

ბ) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას;

გ) განცხადებასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე კონსულტაციების გაწევას;

დ) კომისიის დავალებების შესრულებასა და სხვა პროცედურული საკითხების განხორციელებას.

მუხლი 6. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით;

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და კომისიის სხდომის მდივანი. ოქმში უნდა აისახოს კომისიის ნებისმიერი

წევრის მიერ შეფასებაში/კენჭისყრაში მონაწილეობაზე თავშეკავების, უარის თქმის მიზეზი ან სხდომაზე გამოთქმული ნებისმიერი განსხვავებული აზრი.

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება ინტერესთა გამოხატვის ჩატარებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

ა) კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი განაცხადის განხილვას, შერჩევას და შეფასებას;

ბ) ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი კანდიდატთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები.

3. დაუშვებელია, კანდიდატმა და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულმა (რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. მას შემდეგ, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება კანდიდატის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულის (რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება) ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

5. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს მონაწილეობა ამ საქმიანობის განხორციელებაში.

მუხლი 8. განაცხადთა მიღება

1. განაცხადთა მიღება განხორციელდება კომისიის სამდივნოში (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12).

2. კანდიდატის მიერ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობაზე განაცხადი/დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია თარგმნილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით.

3. კანდიდატმა დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ)ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ასევე ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულმა იურიდიულმა პირმა აღნიშნული ცნობა უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან და დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული)). აღნიშნული ცნობა გაცემული უნდა იყოს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნების შემდგომ, ხოლო უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში, განცხადების გამოქვეყნებამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე.

გ) განაცხადის წარმოდგენაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი) და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ინფორმაცია/დოკუმენტაცია (ცნობის სახით) ბოლო სამი წლის (2012-2014) განმავლობაში კანდიდატის საშუალო წლიური ბრუნვის თაობაზე, რაც უნდა შეადგენდეს მინიმუმ 100 000 000 (ასი მილიონი) ლარს (დღგ–ს ჩათვლით);

ე) ინფორმაცია მინიმუმ მსგავსი სახის 1 მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ოპერირების გამოცდილების თაობაზე საქართველოში ან უცხო ქვეყანაში;

ვ) შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს საკუთრების (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) და/ან სარგებლობის უფლებით (საიჯარო ხელშეკრულება, წინასწარ განზრახვათა ხელშეკრულება და სხვა) მინიმუმ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების მე–4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადით, გააჩნია მიწის ნაკვეთი (ფართობი 2.5-3.0 ჰექტარი).

ზ) საწვავის/გაზგასამართ სადგურზე ISO 9001-2008 სერთიფიკატი;

თ) არანაკლებ 1 საერთაშორისო ბრენდის (სავაჭრო ნიშანი/მარკა, რომლის გამოყენების უფლება აქვს საერთაშორისო ბრენდის მქონე კომპანიას, რომელიც სულ მცირე 10 სახელმწიფოში ახორციელებს შესაბამისი სახის საქმიანობას და ამასთან, საქართველოში აქვს შესაბამისი საქმიანობის გამოცდილება) სწრაფი კვების ობიექტის გამართვის თაობაზე ინფორმაცია;

ი) დეპარტამენტის მიერ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადებაზე თანდართული პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების კომპლექსის კონცეპტუალური მოდელებიდან კანდიდატის მიერ შერჩეული ესკიზი და შესაბამისად შედგენილი გენგეგმა.

კ) ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადებით მოთხოვნილი სხვა სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4. განაცხადით წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. განაცხადით წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედანი) ან ნოტარიულად, სათანადო წესით დამოწმებული ასლის სახით. პრეტენდენტი სრულად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.

6. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაცხადით არ არის წარმოდგენილი ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, ან წარმოდგენილია არასათანადოდ, ან არასრულად კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ხარვეზი და კანდიდატს მისცეს გონივრულ ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის დათქმულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, კანდიდატი კარგავს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღების უფლებას.

7. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობისათვის სავალდებულო დოკუმენტების მიღებისთვის გამოცხადებული ვადის ამოწურვის შემდგომ სამდივნო წყვეტს დოკუმენტების მიღებას.

8. ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებით დოკუმენტების მიღების ვადის გაგრძელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ კომისიის შუამდგომლობით დეპარტამენტის თავმჯდომარეს.

მუხლი 9. ინტერესთა გამოხატვის ჩატარების წესი და ვადები

1. კომისია ადგენს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნების, განაცხადთა მიღებისა და დასრულების, ინტერესთა გამოხატვის ჩატარების თარიღებს, რომლებიც ერთობლიობაში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. ასევე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტაცია, რომელიც განთავსდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე (www.mrdi.gov.ge), დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.georoad.ge), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გასაცნობად გადაეცემათ კანდიდატებს, მოთხოვნის შემთხვევაში.

2. ინტერესთა გამოხატვა ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ერთი კანდიდატი მაინც;

3. კომისიის წევრები და კანდიდატები ცხადდებიან განსაზღვრულ დროსა და ადგილას. კანდიდატები ინტერესთა გამოხატვის დაწყებამდე გაივლიან რეგისტრაციას კომისიის სამდივნოში.

4. კანდიდატის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან პასპორტი).

5. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ კომისიის სამდივნო, კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს შემოსული განცხადებების ოდენობის შესახებ და ინტერესთა გამოხატვის დღეს რეგისტრაცია გავლილი (გამოცხადებული) კანდიდატების შესახებ ინფორმაციას.

6. ინტერესთა გამოხატვაზე კომისიის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.

7. კომისიის თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ–ერთი წევრი კანდიდატთა თანდასწრებით ხსნის ინტერესთა გამოხატვაში დალუქული კონვერტით წარმოდგენილ განაცხადებს.

8. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, ცხადდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

9. კომისია წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე, კონვერტ(ებ)ის გახსნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას და გამოავლენს გამარჯვებულს.

10. უპირატესობა მიენიჭება ისეთ განაცხადს, რომელიც კომისიის წევრების შეფასებით, მთლიანობაში შეფასდება ყველაზე მაღალი ქულით. შეფასების შედეგად ორი ან რამოდენიმე კანდიდატის ქულათა ერთნაირი ჯამით შეფასების შემთხვევაში კომისია კენჭისყრით ავლენს გამარჯვებულს.

11. კომისიის გადაწყვეტილება გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის შესახებ, ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა შეფასება.

12. კომისიის სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) მოწვეული პირების ვინაობა (მათი არსებობის შემთხვევაში);

ვ) შეფასების შედეგები;

ზ) კენჭისყრის შედეგები (მისი ჩატარების შემთხვევაში);

თ) გადაწყვეტილება.

13. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, გამარჯვებული კომპანიის თაობაზე ინფორმაციას კომისიის თავმჯდომარე

წარუდგენს დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ინდივიდუალურ ადმინისტრაციული–სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) ადასტურებს გამარჯვებულად გამოვლენილ კომპანიას და აღნიშნული ინფორმაცია, ცნობის სახით წარედგინება საქართველოს მთავრობას.

14. ამ მუხლის მე–15 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურისა და საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიასთან შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი.

15. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 500 000 ლარის ღირებულების, მოქმედების ვადით ხელშეკრულების ხელმოწერიდან 34 თვის განმავლობაში, მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების შემდგომ საბანკო გარანტია უბრუნდება კომპანიას.

16. გამარჯვებულის შესახებ ინფორმაცია განთავსდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე (www.mrdi.gov.ge), დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.georoad.ge).

მუხლი 10. არშემდგარი ინტერესთა გამოხატვა

კომისიის მიერ წარდგენილი ინფორმაციითა და დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, ინტერესთა გამოხატვა ითვლება არშემდგარად, თუ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნების შემდეგ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განაცხადი, ან ამ წესის შესაბამისად ვერ გამოვლინდა გამარჯვებული;

მუხლი 11. ინტერესთა გამოხატვის შეწყვეტა

1. ინტერესთა გამოხატვის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია ინტერესთა გამოხატვის შეწყვეტა.

2. ინტერესთა გამოხატვის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია, ან დეპარტამენტის თავმჯდომარე.

3. ინტერესთა გამოხატვის შეწყვეტის თაობაზე კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას კომისიის თავმჯდომარე წარუდგენს დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) ადასტურებს კომისიის გადაწყვეტილებას.

მუხლი 12. გადაწყვეტილების გასაჩივრება

კომისიის/დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. განმეორებითი ინტერესთა გამოხატვა

1.დეპარტამენტი ნიშნავს განმეორებით ინტერესთა გამოხატვას იმ შემთხვევაში, თუ არ შედგა ინტერესთა გამოხატვა, ან თუ პირველი ინტერესთა გამოხატვის დროს არ მოხდება გამარჯვებულის გამოვლენა ამ წესის შესაბამისად, ან ინტერესთა გამოხატვა შეწყდება და სხვა.

2. განმეორებითი ინტერესთა გამოხატვა ცხადდება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 14. სადავო საკითხების მოგვარება

ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შენახვის წესი

კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ინტერესთა გამოხატვის ჩატარებიდან 3 წლის ვადით, ინახება დეპარტამენტში.

ხელშეკრულების პროექტი

მომსახურების კომპლექსების განთავსებისა და ოპერირების უფლების მინიჭების თაობაზე

(წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას)

თბილისი **2015წ.**

ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი ——— სახით (შემდგომში – ოპერირების უფლების გამცემი) და მეორეს მხრივ, ———— წარმოდგენილი მისი ————— (შემდგომში – ოპერირების უფლების მფლობელი), ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, **ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით მომსახურების კომპლექსის (სამი კილომეტრის მანძილზე) პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების მოწონების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2015 წლის 04 ივნისის N1775 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ტერმინთა განმარტება:

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე გამარჯვებული კანდიდატისათვის, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის **მარცხენა** მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებასა და ოპერირების თაობაზე უფლების მინიჭება.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ოპერირების უფლება – ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის **მარცხენა** მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებისა და ამ კომპლექსის ოპერირების უფლება.

ბ) ოპერირების უფლების გამცემი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

გ) მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების ვადა – ხელშეკრულების ხელმოწერიდან 32 თვე, რომელშიც შედის დეტალური პროექტის დამუშავების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვ(ებ)ის, სხვა სახის პროცედურებისა და მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების ვადა;

დ) ოპერირება – ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის **მარცხენა** მიმართულებით წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განთავსებული მომსახურების კომპლექსის (სამი კილომეტრის მანძილზე) ოპერირება.

ე) დეტალური პროექტი – ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის **მარცხენა** მიმართულებით (სამი კილომეტრის მანძილზე) მომსახურების კომპლექსის განთავსებაზე დეტალური პროექტი.

ვ) საერთაშორისო ბრენდი – სავაჭრო ნიშანი/მარკა, რომლის გამოყენების უფლება აქვს საერთაშორისო ბრენდის მქონე კომპანიას.

ზ) საერთაშორისო ბრენდის მქონე კომპანია – საერთაშორისო კომპანია, რომელიც სულ მცირე 10 სახელმწიფოში ახორციელებს შესაბამისი სახის საქმიანობას და ამასთან, საქართველოში აქვს შესაბამისი საქმიანობის გამოცდილება.

მუხლი 2. სამუშაოების შესაბამისობა

2.1 ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დამუშავებული დეტალური პროექტი ოპერირების უფლების მფლობელმა უნდა შეათანხმოს დეპარტამენტთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

2.2 დეტალური პროექტის ძირითადი მაჩვენებლები და პარამეტრები:

ა) მსოფლიო ბანკის „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის“ კრედიტები (4248 GE, 7804 GE) კონსულტანტთა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემთა მიხედვით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (E-60) შერჩეული მონაკვეთის 2014 წელს ავტომობილების დღე-ღამური მოძრაობის ინტენსივობა შეადგენდა 12266 ავტომობილს, ხოლო თითოეულ მხარეს დაახლოებით 6133 ავტომობილს. შესაბამისად, ყველა გათვლა მომსახურების კომპლექს(ებ)ის (მოძრაობის თითოეული მიმართულებისათვის) უნდა ეყრდნობოდეს ამ მონაცემებს.

ბ) თანახმად საერთაშორისო პრაქტიკისა ავტომობილების ამ ნაკადისათვის საერთო რაოდენობაა 4,5-5 % (276-307 ავტომობილი დღე-ღამეში), საიდანაც მომსახურების კომპლექსის მომხმარებელი მგზავრების საშუალო რაოდენობა 900 – 1100 ადამიანს შეადგენს, დღე – ღამეში საშუალოდ თითოეული მიმართულებისათვის:

ბ.ა) ავტომობილების საერთო რაოდენობიდან 70-73% შეადგენს მსუბუქ ავტომობილს, 15,7 % მიკროავტობუსს, 5,9% ავტობუსსა და სატვირთოს, 4,7% მძიმეწონიან სატვირთოს (3 და მეტი ღერძის მქონე ე.წ ტრაილერს). ამ მონაცემებით განისაზღვრება დასვენებისა და მომსახურების თითოეული ობიექტის საშუალო დღე-ღამური სიმძლავრე საპროგნოზო 2015 – 2020 წლისათვის.

ბ.ბ) ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის (E-60) მომსახურების თითოეული კომპლექსი მოძრაობის თითოეული მიმართულებისათვის უნდა შეიცავდეს: ავტოსადგომს საშუალოდ 50 ავტომობილისათვის ერთდროულად. ავტომობილების საერთო რაოდენობიდან (1 საათში საშუალოდ) 30-35 მსუბუქი, 3-4 ავტობუსი, 10-15 მიკროავტობუსი და სატვირთო, 3-5 მძიმეწონიანი, მისაბმელიანი ტრაილერი.

გ) ძირითადი შენობის პარამეტრები:

გ.ა) სხვადასხვა ასორტიმენტის მინიმუმ 2 სწრაფი კვების (ორი საერთაშორისო ბრენდი) ობიექტი, თითოეული მინიმუმ 50-60 ადგილზე;

გ.ბ) სუპერმარკეტი;

გ.გ) სველი წერტილები;

გ.დ) ბავშვების გასართობი კუთხე;

გ.ე) სივრცე ATM ავტომატებისა და სწრაფი გადახდის ტერმინალებისათვის;

გ.ვ) სივრცე ტურისტული საინფორმაციო ბუკლეტების განსათავსებლად;

გ.ზ) სივრცე ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო და ხელნაკეთი სუვენირების სარეალიზაციოდ;

გ.თ) აფთიაქი.

დ) საწვავის/გაზის გასამართი სადგური;

ე) ავტომობილების ტექნიკური მომსახურება.

ვ) დამხმარე სამეურნეო დანიშნულებისა და სხვა სახის შენობა-ნაგებობები, გარე სანკვანძი და ტუალეტები.

2.3 დეპარტამენტისთვის შესათანხმებლად წარდგენილი დეტალური პროექტი უნდა მოიცავდეს: მომსახურების თითოეული კომპლექსის სივრცითი ორგანიზაციის სქემას (კომპოზიციური გადაწყვეტა) და ტერიტორიაზე მიბმის სქემას; კომპლექს(ებ)ის (შენობა-ნაგებობის) გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს, სამ განზომილებიან სივრცით კომპიუტერულ მოდელებს; შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ გადაწყვეტის წინადადებებსა და ძირითადი სამშენებლო მასალების ჩამონათვალს;

შენობა-ნაგებობის ძირითად შიგა და გარე პარამეტრებს; მომსახურების კომპლექს(ებ)ის მთლიანი განაშენიანებული ტერიტორიის პარამეტრებს; მომსახურების კომპლექს(ებ)ის უზრუნველმყოფი ინფრასტრუქტურის (ელ. ენერგია, წყალს, ბუნებრივ აირს, კანალიზაციას) ზღვრულ სიმძლავრეთა ანგარიშს (მოთხოვნა).

2.4 აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, ოპერირების უფლების გამცემი უფლებამოსილია ოპერირების უფლების მფლობელის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 3. მომსახურების კომპლექსის განთავსების და ოპერირების უფლების ვადა

3.1. ოპერირების უფლების მფლობელმა მომსახურების კომპლექსის განთავსება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 32 თვის განმავლობაში (რომელშიც შედის დეტალური პროექტის დამუშავების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვ(ებ)ის, სხვა სახის პროცედურებისა და მომსახურების კომპლექსის განთავსების ვადა) .

3.2. მომსახურების კომპლექსი განთავსებულად ჩაითვლება ოპერირების უფლების მფლობელის მიერ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

3.3 ოპერირების უფლება გაიცემა ერთჯერადად, უვადოდ.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 **ოპერირების უფლების მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:**

ა) ოპერირების უფლების მიღებიდან მინიმუმ 30 წლის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების კომპლექსის დანიშნულების შენარჩუნება. კერძოდ არ შეცვალოს შემდეგი ტიპის მომსახურება:

ა.ა) ავტომანქანის გამართვა;

ა.ბ) კვების მომსახურება;

ა.გ) ავტო პარკინგი.

ბ) ოპერირების უფლების მფლობელმა საკუთარი უფლება შეიძლება გადასცეს სხვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეპარტამენტისგან მიიღებს შესაბამის თანხმობას;

გ) მოძრაობის ინტენსივობის ზრდის შესაბამისად, საშუალოდ 5-8 წლის შემდგომ, უფლებამოსილია გააფართოვოს მომსახურების კომპლექსის ცალკეული ობიექტები, მომსახურების კომპლექსის დანიშნულების შეცვლის გარეშე, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას დეპარტამენტთან;

გ) ხელშეკრულების ხელმოწერიდან 32 თვის განმავლობაში უზრუნველყოს მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსება;

დ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მომსახურების კომპლექსში განთავსებული ობიექტების ჩანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ დეპარტამენტთან შეთანხმებით;

ე) უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა ვალდებულების შესრულება და წესების დაცვა.

4.2 ოპერირების უფლების გამცემის უფლება-მოვალეობები:

ოპერირების უფლების გამცემი:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცემს ოპერირების უფლებას, გამარჯვებულ პრეტენდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს ოპერირების უფლების მფლობელის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამ ხელშეკრულების შესაბამისად ახორციელებს კონტროლს ოპერირების უფლების მფლობელის მიერ სახელშეკრულებო პირობების შესრულებაზე;

ვ) ოპერირების უფლების მფლობელის მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას მოქმედებს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

<u>მუხლი 5. საბანკო გარანტია:</u>

5.1 ოპერირების უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილი მომსახურების კომპლექსის განთავსების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია – 500 000 ლარის ღირებულების, მოქმედი უნდა იყოს ხელშკრულების ხელმოწერის დღიდან 34 თვის განმავლობაში. ხელშეკრულების გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად გაგრძელებულ უნდა იქნას საბანკო გარანტია.

5.2 მომსახურების კომპლექსის განთავსების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების წარმოდგენის შემთხვევაში, ოპერირების უფლების მიმღებმა (ფლობელმა) უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საბანკო გარანტიიების საფუძველზე საქართველოში აკრედიტებული საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული „კონტრ გარანტიები“ (ლარში) ან უცხოური ბანკებიდან წარმოდგენილი საბანკო გარანტიების (ლარში) ვალიდურობა დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

5.3 ხელშეკრულების ხელმოწერიდან 32 თვის განმავლობაში, ამ ხელშეკრულების მე–7 მუხლით გათვალისწინებული გარემოებ(ებ)ის არსებობისას, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო ოპერირების უფლების <u>გაუქმების შემთხვევაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია აამოქმედოს</u> მომსახურების კომპლექს(ებ)ის განთავსების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია 500 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 6 ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა ოპერირების უფლების პირობების დარღვევისათვის. ოპერირების უფლების გაუქმება

7.1. ოპერირების უფლების მფლობელის მიერ ოპერირების უფლების პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
7.2. ოპერირების უფლება შეიძლება ვადის გასვლამდე გაუქმებულ იქნეს:
ა) ოპერირების უფლების მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში დეპარტამენტის თანხმობით/მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
ბ) ოპერირების უფლების მფლობელის გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების (ლიკვიდაციის) შემთხვევაში, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა;
გ) ოპერირების უფლების მფლობელის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დეპარტამენტის მიერ ცალმხრივად;
დ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
7.3. ოპერირების უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.4. ოპერირების უფლების გაუქმება ხდება მისი გამცემის მიერ, რაც ეცნობება ოპერირების უფლების მფლობელს.
7.5. ამ მუხლში მითითებული გარემოებების წარმოშობის საფუძველზე ოპერირების უფლების გაუქმების შემთხვევაში, ოპერირების უფლების გამცემი უფლებამოსილია აამოქმედოს ოპერირების უფლების მფლობელის მიერ ხელშეკრულების მე–5 მუხლის თანახმად წარმოდგენილი საბანკო გარანტია და გარანტისაგან მოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება სრულად.
7.6. 4.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევისათვის ოპერირების უფლების მფლობელს დაეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადად 100 000 ლარის ოდენობით და მიეცემა გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
7.7 ოპერირების უფლების მფლობელის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს პირგასამტეხლოს დაკისრებიდან 14 საბანკო დღის განმავლობაში და მთლიანად ჩაირიცხება დეპარტამენტის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე.
7.8. ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადის გასვლის შემდგომ, დეპარტამენტი უფლებამოსილია განიხილოს ოპერირების უფლების ცალმხრივად გაუქმების საკითხი.

მუხლი 8. კონტროლი ოპერირების უფლების პირობების შესრულებაზე
8.1. ოპერირების უფლების მფლობელის მიერ ოპერირების უფლების პირობების შესრულებას აკონტროლებს დეპარტამენტი.
8.2. დეპარტამენტი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

მუხლი 9. სხვა პირობები
9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
9.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედიკანონმდებლობის შესაბამისად.

9.5. ამ ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ოპერირების უფლების გამცემი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის N200 122 900, ბ/კ TRESGE 22.

ხელმოწერა

ოპერირების უფლების მფლობელი:

_____

ხელმოწერა

შეფასების ფურცელი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მარცხენა მიმართულებით მომსახურების კომპლექსის (სამი კილომეტრის მანძილზე) განთავსებისა და ოპერირების პროექტი

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე კანდიდატები		**შეფასების კრიტერიუმები**												**ქულების საერთო ჯამი**
		(A) სულ მცირე მსგავსი სახის ერთი მომსახურების კომპლექსის განთავსება და ოპერირება		წარმოდგენილი ინფორმაცია	(B) ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალო წლიური ბრუნვა მინიმუმ 100 000 000 ლარი.		წარმოდგენილი ინფორმაცია	(C) მიწის ნაკვეთის საკუთრების და/ან სარგებლობის უფლებით ფლობა		წარმოდგენილი ინფორმაცია	(D) არანაკლებ ერთი საერთაშორის ბრენდის მქონე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება		წარმოდგენილი ინფორმაცია	
		(40 ქულა)			(30 ქულა)			(20 ქულა)			(10 ქულა)			(100 ქულა)
		რეიტინგი* (A)	(A) x (ქულა)/100		რეიტინგი* (B)	(B) x (ქულა)/100		რეიტინგი* (C)	(C) x (ქულა)		რეიტინგი* (D)	(D) x (ქულა)/100		
1	**კომპანია x**	70	28	2–3 კომპლექსი	60	18	ასორმოცდაათი დან სამას მილიონამდე	100	20	საკუთრების უფლებით	70	7	3 საერთაშორისო ბრენდი	73
2														
3														
4			0			0			0			0		0

რეიტინგი (A)		**რეიტინგი (B)**		**რეიტინგი (C)**		**რეიტინგი (D)**	

1	30
2-3	70
4 და მეტი	100

ასი ომოცდაათ მილიონამდე	40
ასორმოცდაათი დან სამას მილიონამდე	60
სამასი მილიონი და ზევით	100

საკუთრების უფლებით	100
სარგებლობის უფლებით	50

1 საერთაშორისო ბრენდი	50
2-3 საერთაშორისო ბრენდი	70
4 და მეტი სერთაშორისო ბრენდი	100

V02





V03





V04





V05